885
1985

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

№ 2

1985

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

**№ 2 (494) თებერვალი 1985 წელი**

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი


23. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

24. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ.

25. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო მასწავლებლის" საპატიო წოდების დაწესების შესახებ.

26. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.


### განყოფილება მეორე


27. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. პ. ვ. მიქელაძისათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

28. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

29. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

№ 2
ეროვნული ბიბლიოთეკა

30. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

31. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის მსახიობებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

32. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. ს. პაიჭაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

33. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. გ. ავჩიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

34. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ლ. ბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

35. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. ბ. ელიავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

36. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. ს. ზამბახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

37. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ტ. მესხიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

38. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. დ. ორჯონიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

39. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ი. ქადაგიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

40. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. დ. ბახტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

41. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ვ. პაქსაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

42. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. ვ. ყიფშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

43. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ი. ჩალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

44. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. ღ. [illegible] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ .

45. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ვ. დურმიშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

46. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საოლქო გაზეთ „სოვეთონ ირისთონის“ („საბჭოთა ოსეთი“) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

47. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. ი. სიხარულიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 23 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 11; 1984 წ., № 4, მუხ. 100) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 95-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საგამოძიებო მოქმედებათა დროს, აგრეთვე პირველი ინსტანციის სასამართლოების სასამართლო და, საჭიროების შემთხვევაში, განმწესრიგებელ სხდომებზე დგება ოქმები“.

2. 117-ე მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შრომა-გასწორების დაწესებულებების, საგამოძიებო იზოლატორების, სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმებისა და შრომა-აღმზრდელობითი პროფილაქტორიუმების უფროსები — ამ დაწესებულებათა თანამშრომლების მიერ ჩადენილ სამსახურის შესრულების დადგენილი წესის საწინააღმდეგო დანაშაულთა საქმეებზე, აგრეთვე აღნიშნულ დაწესებულებათა განლაგების ადგილას ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე“.

3. 126-ე მუხლში:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სავალდებულოა ყველა საქმის წინასწარი გამოძიება, გარდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 95-ე, 99-ე მუხლებით, მე-100 მუხლის პირველი ნაწილით, 112-ე მუხლით, 116-ე მუხლის პირველი ნაწილით, 124-ე, 126-ე მუხლებით, 137-ე მუხლის პირველი ნაწილით, 138-ე მუხლით, 157-ე მუხლის პირველი ნაწილით, 165-ე მუხლის პირველი ნაწილით, $165^1$ მუხლით, 169-ე მუხლის პირველი ნაწილით, $169^1$, $169^2$, $169^3$, $169^4$, $169^5$ მუხლებით, 172-ე მუხლის პირველი ნაწილით, 173-ე, 175-ე, 177—180-ე, $203^3$ მუხლებით, 204-ე მუხლის მეორე ნაწილით, 216-ე, 217—$223^1$ მუხლებით, 228-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 229-ე მუხლის პირველი ნაწილით, 234-ე, $241^1$ მუხლებით, 243-ე მუხლის პირველი ნაწილით, $250^1$ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებისა, რომელთა წინასწარი გამოძიება წარმოებს მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს სასამართლო ან პროკურორი“;

მესამე ნაწილს ციფრის „207“ შემდეგ დაემატოს ციფრი „$207^1$, 208, $208^1$“, ხოლო ციფრის „$209^1$“ შემდეგ — ციფრი „$216^1$“;

მეოთხე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 87-ე, 88-ე, 91-93-ე, 96-ე, 97-ე, 98-ე მუხლებით, მე-100 მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, 101-ე, 102-ე, 110-ე, 111-ე, 113—115-ე მუხლებით, 116-ე მუხლის მეორე ნაწილით, 121-ე, 122-ე, 127-ე, 135-ე, 136-ე, 150—156-ე მუხლებით, 157-ე მუხლის მეორე ნაწილით, 158-ე, 161-ე, 162-ე, 164-ე მუხლებით, 165-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, 166—168-ე მუხლებით, 169-ე მუხლის მეორე ნაწილით, 170-ე, 171-ე მუხლებით, 172-ე მუხლის მეორე ნაწილით, $173^1$, $173^2$, 174-ე, 176-ე, 182-ე, 203-ე, $203^1$, $203^2$, $203^4$ მუხლებით, 204-ე მუხლის პირველი ნაწილით, 210—215-ე მუხლებით, 228-ე მუხლის მესამე ნაწილით, 229-ე მუხლის მეორე ნაწილით, 230-ე, 232-ე, 237—241-ე, $241^2$, 242-ე, $242^1$ მუხლებით, 243-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, 248-ე, $248^1$, 249-ე მუხლებით, $250^1$ მუხლის მეორე ნაწილით, 252—254-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებსა და არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა ყველა საქმეს წინასწარ გამოიძიებენ შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლებიც“.

4. 202-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეექვსე ნაწილი:

„ბრალდებულს და მის დამცველს არ შეიძლება შეეზღუდოთ საქმის ყველა მასალის გასაცნობად საჭირო დრო. მაგრამ თუ ბრალდებული და მისი დამცველი აშკარად აჭიანურებენ საქმის მასალების გაცნობას, მაშინ გამომძიებელს უფლება აქვს პროკურორის მიერ დამტკიცებული თავისი მოტივირებული დადგენილებით დააწესოს განსაზღვრული ვადა საქმის მასალების გასაცნობად, რომლის გასვლის შემდეგ კანონის მოთხოვნა საქმის მასალების გაცნობის შესახებ შესრულებულად ჩაითვლება“.

5. 275-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„სასამართლოს მიერ საქმის განხილვის გადადების შესახებ განჩინების გამოტანის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დაკითხოს გამოცხადებული მოწმეები, ექსპერტი ან სპეციალისტი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე ან მათი წარმომადგენლები. თუ გარჩევის გადადების შემდეგ საქმეს სასამართლოს იგივე შემადგენლობა განიხილავს, აღნიშნულ პირებს სასამართლო სხდომაზე განმეორებით დაიბარებენ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში“.

6. 288-ე მუხლში:

მეორე ნაწილის შემდეგ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„სასამართლო სხდომაზე შეიძლება აგრეთვე საჯაროდ იქნეს წაკითხული იმ მოწმის ჩვენებები, რომელიც დაკითხა სასამართლომ ამ კოდექსის 275-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად“.

მესამე ნაწილი ჩაითვალოს მეოთხე ნაწილად.

7. 363-ე მუხლის პირველი ნაწილის მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. მეშვიდე კარის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმა“.

9. ოცდამეთოთხმეტე თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმა“.

10. მე-400 და 401-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 400.** წარმოების წესი

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 95-ე მუხლით, მე-100 მუხლის პირველი ნაწილით, 124-ე მუხლით, 157-ე მუხლის პირველი ნაწილით, $165^{1}$ მუხლით, 169-ე მუხლის პირველი ნაწილით, $169^{1}$ მუხლით, 172-ე მუხლის პირველი ნაწილით, 173-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 175-ე მუხლის პირველი ნაწილით, 177-ე მუხლის პირველი ნაწილით, 178-ე მუხლის პირველი ნაწილით, $179^{1}$, 217-ე, $219^{1}$ მუხლებით, 228-ე მუხლის პირველი ნაწილით, $241^{1}$ მუხლით, 243-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების წარმოების წესი განისაზღვრება აღნიშნული კოდექსის საერთო წესებით ამ თავის მუხლებით დადგენილი გამონაკლისების გარდა.

**მუხლი 401.** მასალების სასამართლოში გადაგზავნის წესი

ამ კოდექსის მე-400 მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულთა საქმეებზე მოკვლევის ორგანოები არაუგვიანეს ათი დღის ვადაში დაადგენენ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებს და სამართალდამრღვევის პიროვნებას, სამართალდამრღვევს, თვითმხილველებსა და სხვა პირებს ჩამოართმევენ ახსნა-განმარტებებს, გამოითხოვენ ცნობას იმის შესახებ, აქვს თუ არა ნასამართლობა სამართალდამრღვევს, დახასიათებას მისი სამუშაო ან სწავლის ადგილიდან და სხვა მასალებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ სასამართლოში საქმის განხილვისათვის.

სამართალდამრღვევს ჩამოართმევენ პირობას, რომ გამოცხადდება მოკვლევის ორგანოსა და სასამართლოს გამოძახებით და შეატყობინებს მათ საცხოვრებელი ადგილის შეცვლას.

ჩადენილი დანაშაულის გარემოებათა შესახებ შედგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება: მისი შედგენის დრო და ადგილი; ვის მიერაა შედგენილი; მონაცემები სამართალდამრღვევის პიროვნების შესახებ; დანაშაულის ჩადენის ადგილი და დრო, მისი ჩადენის ხერხი, მოტივები, შედეგები და სხვა არსებითი გარემოებანი; ფაქტიური მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ დანაშაულის არსებობას და სამართალდამრღვევის ბრალეულობას; საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის შესაბამისად დანაშაულის კვალიფიკაცია. ოქმს დაერთვის ყველა მასალა, აგრეთვე სასამართლოში გამოსაძახებელ პირთა სია.

მოკვლევის ორგანოს უფროსი, რომელიც შეისწავლის ოქმს და მასზე დართულ მასალებს, განიხილავს სამართალდამრღვევისათვის საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა შეფარდების შესაძლებლობის საკითხს.

მოკვლევის ორგანოს უფროსი, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს სამართალდამრღვევისათვის საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების შეფარდებას, პროკურორის თანხმობით, ამ კოდექსის $9^{1}$ მუხლის შესაბამისად, მასა-

ლებს გადასცემს ამხანაგურ სასამართლოს ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას განსახილველად ანდა სამართალდამრღვევს თავდებქვეშ გადასცემს შრომითს კოლექტივს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად.

მოკვლევის ორგანოს უფროსი, რომელიც შეუძლებლად მიიჩნევს სამართალდამრღვევისათვის საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების შეფარდებას, ამტკიცებს ოქმს, რის შემდეგ ყველა მასალა გასაცნობად წარედგინება სამართალდამრღვევს და ამის შესახებ ოქმში კეთდება სამართალდამრღვევის ხელმოწერით დადასტურებული სათანადო აღნიშვნა. ოქმი მასალებთან ერთად, პროკურორის სანქციით, გადაიგზავნება სასამართლოში".

11. 402-ე მუხლში:

ამოღებულ იქნეს პირველი ნაწილი;

მეორე ნაწილი ჩაითვალოს პირველ ნაწილად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ კოდექსის მე-400 მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულთა საქმეებზე მოკვლევის ორგანოები მოკვლევას აწარმოებენ შემდეგ შემთხვევებში:

1) მოკვლევის ორგანოს უფროსის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისას, თუ ათდღიან ვადაში შეუძლებელია ჩადენილი დანაშაულის არსებითი გარემოებათა გამორკვევა;

2) სასამართლოს მიერ საქმის დაბრუნებისას არსებითი დამატებითი გარემოებათა გამოსარკვევად, თუ ისინი არ შეიძლება დადგინდეს სასამართლო სხდომაზე;

3) პროკურორის ან სასამართლოს მიერ მასალების დაბრუნებისას იმ არსებითი დამატებითი გარემოებათა გამოსარკვევად, რომლებიც აუცილებელია სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის";

მესამე ნაწილი ჩაითვალოს მეორე ნაწილად.

12. 403-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ კოდექსის მე-400 მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულთა საქმეებს წინასწარ იძიებენ აღნიშნული კოდექსის 126-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში".

13. 405-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასამართლო, რომელიც ამ კოდექსის მე-400 მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულთა შესახებ მასალებს საკმარისად მიიჩნევს სასამართლო სხდომაზე განხილვისათვის, გამოიტანს განჩინებას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, სამართალდამრღვევის სამართალში მიცემის შესახებ, საჭირო შემთხვევებში შეურჩევს მას აღკვეთის ღონისძიებას და საქმეს განიხილავს სასამართლო სხდომაზე, ანდა დააბრუნებს მასალებს მოკვლევის ან წინასწარი გამოძიებისათვის, ხოლო სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძვლების არარსებობისას უარს ამბობს სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე".

14. 406-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„**მუხლი 406.** საქმის განხილვა სასამართლოში

ამ კოდექსის მე-400 მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულთა საქმეები სასამართლოში განხილულ უნდა იქნეს სასამართლოში მასალების შესვლის მომენტიდან არა უგვიანეს ათი დღის ვადაში. ასეთი საქმეების განხილვის დროს სასამართლოს უფლება აქვს დააბრუნოს ისინი მოკვლევის ან წინასწარი გამოძიებისათვის, თუ აუცილებელია ისეთ არსებით დამატებით გარემოებათა გამორკვევა, რომელთა დადგენა სასამართლო სხდომაზე შეუძლებელია.

ამ კოდექსის მე-400 მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულთა საქმეები, რომლებზეც ჩატარდა მოკვლევა ან წინასწარი გამოძიება, განიხილება სასამართლოში საქმის შესვლის მომენტიდან არაუგვიანეს თოთხმეტი დღის ვადაში“.

11. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1964 წლის 26 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., № 36, მუხ. 662; 1980 წ., № 4, მუხ. 131; 1981 წ., № 3, მუხ. 43) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 64-ე მუხლში:

ამოღებულ იქნეს მეორე ნაწილი;

მესამე და მეოთხე ნაწილები შესაბამისად ჩაითვალოს მეორე და მესამე ნაწილებად.

2. 119-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„საქმის წარმოების განმავლობაში მისამართის გამოცვლის შესახებ სასამართლოსათვის შეტყობინების მოვალეობის შეუსრულებლობისათვის სასამართლოს უფლება აქვს საქმის მონაწილე პირები და წარმომადგენლები დააჯარიმოს 30 მანეთამდე“.

3. 164-ე მუხლში:

მეორე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„სასამართლოს უფლება აქვს 30 მანეთამდე დააჯარიმოს საქმის მონაწილე ის პირები და წარმომადგენლები, რომელთა სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობამ საქმის განხილვის გადადება გამოიწვია, აგრეთვე იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის თანამდებობის პირი, რომლის მიზეზითაც ვერ იქნა უზრუნველყოფილი წარმომადგენლის გამოცხადება სასამართლო სხდომაზე“;

ამასთან დაკავშირებით მესამე, მეოთხე და მეხუთე ნაწილები შესაბამისად ჩაითვალოს მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ნაწილებად;

დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის მეშვიდე ნაწილი:

„სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის ანდა მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო საქმის განხილვის გადადების დროს, თუ არ არის თითოეულის განცხადება მის დაუსწრებლად საქმის განხილვის გადადების შესახებ, სასამართლოს უფლება აქვს გამოუცხადებელი მოსარჩელე და მოპასუხე დააჯარიმოს 30 მანეთამდე“.

4. 165-ე მუხლის სათაურს დაემატოს სიტყვები „განმეორებით დაბარებული“.

5. 167-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასამართლო სხდომაზე ორივე მხარის (მოსარჩელისა და მოპასუხის) არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუ არ არის თითოეულის განცხადება მის დაუსწრებლად საქმის განხილვის შესახებ, სასამართლოს, რომელიც გადადებს საქმის განხილვას, უფლება აქვს გამოუცხადებელი მოსარჩელე და მოპასუხე დააჯარიმოს 30 მანეთამდე“.

6. 168-ე მუხლს დაემატოს შემდეგ შინაარსის მეორე ნაწილი:

„თუ დაბარებული მოწმე სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება ისეთი მიზეზების გამო, რომელთაც სასამართლო არასაპატიოდ მიიჩნევს, მას 30 მანეთამდე დააჯარიმებენ, ხოლო განმეორებით დაბარებისას გამოუცხადებლობის შემთხვევაში იძულებით მოიყვანენ“.

7. 142-ე, 156-ე, 159-ე, 166-ე, 358-ე, 409-ე მუხლებში სიტყვები „10 მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „30 მანეთამდე“.

8. 421-ე მუხლში:

მეოთხე ნაწილში სიტყვები „50 მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „200 მანეთამდე“;

მეხუთე ნაწილში სიტყვები „300 მანეთს“ შეიცვალოს სიტყვებით „1000 მანეთს“.

9. 367-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე და მეოთხე ნაწილები:

„ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე, არასრულწლოვანი შვილებისათვის მათი მშობლების ძებნის პერიოდში დახმარების გაცემის შემთხვევაში, ალიმენტის წარმოქმნილი დავალიანების შესახებ სასამართლოს აღმასრულებლის წარდგინების საფუძველზე მოსამართლე გამოიტანს განჩინებას აღმასრულებელი ფურცლის გაცემის თაობაზე გადახდილი დახმარების თანხების მოვალისათვის გადასახდევინებლად, ამ თანხებზე კანონმდებლობით დადგენილი 10 პროცენტის დარიცხვით.

შინაგან საქმეთა ორგანოს განცხადებით მოსამართლე გამოიტანს განჩინებას აღმასრულებელი ფურცლის გაცემის შესახებ მოვალისათვის მისი ძებნის ხარჯების გადასახდევინებლად“.

III. ეს ბრძანებულება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1985 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 18 თებერვალი.

№ 2932—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 24 ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. გიორგი დიმიტრის ძე **ჯავახიშვილი** საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 25 თებერვალი.
№ 2940—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 25 „საქართველოს სსრ სახალხო მასწავლებლის" საპატიო წოდების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ სახალხო მასწავლებელი".

2. საპატიო წოდება „საქართველოს სსრ სახალხო მასწავლებელი" მიენიჭებათ სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა მასწავლებლებს, განათლების ორგანოების სასწავლო-აღმზრდელობით, მეთოდურ და სხვა დაწესებულებათა მუშაკებს, რომელთაც აქვთ საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი" ან „საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მუშაკი", ბავშვთა და ახალგაზრდობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ახალი ფორმებით გამდიდრებაში დიდი წვლილისათვის, პედაგოგიკის მეცნიერების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის.

3. საპატიო წოდება „საქართველოს სსრ სახალხო მასწავლებელი" მიენიჭებათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის წარდგინებით.

4. „საქართველოს სსრ სახალხო მასწავლებლის" საპატიო წოდების დაწესებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების შესახებ დებულების მე-6 მუხლის მე-7 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის პირველი აბზაცი: „საქართველოს სსრ სახალხო მასწავლებელი", ხოლო მე-9 მუხლს სიტყვების წინ „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუ-

შაკი“ დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი: „საქართველოს სსრ სახალხო მასწავლებელი“ — სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა მასწავლებლებს, განათლების ორგანოების სასწავლო-აღმზრდელობით, მეთოდურ და სხვა დაწესებულებათა მუშაკებს, რომელთაც აქვთ საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი“ ან „საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მუშაკი“, ბავშვთა და ახალგაზრდობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ახალი ფორმებით გამდიდრებაში დიდი წვლილისათვის, პედაგოგიკის მეცნიერების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 27 თებერვალი.
№ 2942—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 26 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მიღებასთან დაკავშირებით და „სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 8 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. საქართველოს სსრ 1973 წლის 28 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 6, მუხ. 118):

1) პრეამბულის მეორე აბზაცში სიტყვები „წარმოების მართვაში“ შეიცვალოს სიტყვებით „საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში“;

2) მე-2 მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „წარმოების მართვაში“ შეიცვალოს სიტყვებით „საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში“;

3) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„**მუხლი** 7. კოლექტიური ხელშეკრულების დადება

შრომითი კოლექტივის სახელით საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციასთან კოლექტიურ ხელშეკრულებას დებს საწარმოს, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტი.

კოლექტიური ხელშეკრულების დადებას წინ უძღვის მისი პროექტის განხილვა შრომითი კოლექტივის კრებებზე (კონფერენციებზე), რომელიც იღებს გადაწყვეტილებას და რწმუნებას აძლევს საწარმოს, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტს ხელი მოაწეროს ამ ხელშეკრულებას.

კოლექტიური ხელშეკრულება დაიდება ყოველწლიურად, წერილობით და რეგისტრაციას არ საჭიროებს.

კოლექტიური ხელშეკრულება უნდა გაეცნოს საწარმოს, ორგანიზაციის ყველა მუშასა და მოსამსახურეს“;

4) მე-8 მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „წარმოების მართვაში“ შეიცვალოს სიტყვებით „საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების მართვაში“;

5) 128-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 128.** შრომის დისციპლინის უზრუნველყოფა

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის დისციპლინას უზრუნველყოფს შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება, დარწმუნების მეთოდი, აგრეთვე წახალისება კეთილსინდისიერი შრომისათვის.

შრომით კოლექტივებში იქმნება შრომის დისციპლინის დარღვევებისადმი შეუწყნარებლობის, იმ მუშაკთა მიმართ მკაცრი ამხანაგური მომთხოვნელობის ატმოსფერო, რომლებიც არაკეთილსინდისიერად ასრულებენ შრომით მოვალეობებს. ცალკეული არაკეთილსინდისიერი მუშაკის მიმართ საჭირო შემთხვევაში გამოიყენება დისციპლინური და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი“;

6) 130-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის განაწესს განსაზღვრავს შრომის შინაგანაწესი, რომელსაც ამტკიცებენ შრომითი კოლექტივები ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის წარდგენით ტიპობრივი წესების საფუძველზე“;

7) 138-ე მუხლს სიტყვის „გადასცეს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „შრომითი კოლექტივს“;

8) 139-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეოთხე ნაწილი:

„შრომითი კოლექტივები იხილავენ და იწონებენ შრომის დაცვის პირობების გაუმჯობესებისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა კომპლექსურ გეგმებს და კონტროლს უწევენ ამ გეგმების შესრულებას“;

9) 144-ე მუხლში:

მეორე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„შრომითი კოლექტივები კონტროლს უწევენ ყველა მუშაკის მიერ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის დაცვის წესებისა და ინსტრუქციების დაცვას“;

მესამე ნაწილი ჩაითვალოს მეოთხე ნაწილად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

10) 145-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„შრომითი კოლექტივები კონტროლს უწევენ შრომის დაცვისათვის გამოკუთვნილი სახსრების გამოყენებას“;

11) XVI თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პროფესიული კავშირები. მუშათა და მოსამსახურეთა მონაწილეობა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მართვაში“;

12) 218-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პროფესიული კავშირები მონაწილეობენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შემუშავებასა და რეალიზაციაში, მატერიალური და ფინანსური რესურსების განაწილებისა და გამოყენების საკითხების გადაწყვეტაში, მუშებსა და მოსამსახურეებს ჩააბამენ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მართვაში, ორგანიზაციას უწევენ სოციალისტურ შეჯიბრებას, მასობრივ ტექნიკურ შემოქმედებას; ხელს უწყობენ საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას“;

13) 219-ე, 220-ე და 221-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 219.** მუშა-მოსამსახურეთა უფლება მონაწილეობდნენ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში

მუშა-მოსამსახურეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში, შეიტანონ წინადადებები საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე, აგრეთვე სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე.

**მუხლი 220.** საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობის ფორმები

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მართვაში მუშა-მოსამსახურენი მონაწილეობენ შრომითი კოლექტივების საერთო კრებების (კონფერენციების), პროფესიული კავშირების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახალხო კონტროლის ორგანოების, საწარმოო თათბირების და შრომით კოლექტივში მოქმედი სხვა საზოგადოებრივი ორგანოების მეშვეობით.

**მუხლი 221.** ადმინისტრაციის მოვალეობა შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობას საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში

საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ადმინისტრაცია მოვალეა შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობას საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში. საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების თანამდებობის პირნი მოვალენი არიან დადგენილ ვადაში განიხილონ მუშა-მოსამსახურეთა კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები და აცნობონ მათ მიღებული ზომების შესახებ“.

II. საქართველოს სსრ 1983 წლის 4 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ საბინაო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1983 წ., № 6, მუხ. 199):

1) 26-ე მუხლში:

სათაურს სიტყვების „საზოგადოებრივ ორგანიზაციათა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „შრომითი კოლექტივებისა“;

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პროფესიული კავშირები, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წესდებების (დებულებების) შესაბამისად, აგრეთვე მოქალაქენი მონაწილეობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მართვასა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფაში“;

2) 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 29.** სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოვალეობა გაითვალისწინონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა წინადადებანი

სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, აგრეთვე თანამდებობის პირები მოვალენი არიან საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებისას ყოველმხრივ გაითვალისწინონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა წინადადებანი“.

III. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ 1972 წლის 15 ივნისის კანონის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1972 წ., № 6, მუხ. 101) მე-5 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების ფართო მონაწილეობით“.

IV. საქართველოს სსრ 1971 წლის 13 ივლისის კანონით დამტკიცებული საქართველოს სსრ მიწის კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1971 წ., № 7, მუხ. 124) $9^2$ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი $9^2$.** საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა მონაწილეობა მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში

პროფესიული კავშირები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ბუნების დაცვის საზოგადოებები, სამეცნიერო საზოგადოებები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, აგრეთვე მოქალაქენი ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებს მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივები მონაწილეობენ მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფისათვის

საქმიანობაში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წესდებების (დებულებების) შესაბამისად.

სახელმწიფო ორგანოები მოვალენი არიან მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისას ყოველმხრივ გაითვალისწინონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა წინადადებანი".

V. საქართველოს სსრ 1976 წლის 20 ნოემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1976 წ., № 11, მუხ. 199) 64-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 64.** საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა მონაწილეობა წიაღის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში

პროფესიული კავშირები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ბუნების დაცვის საზოგადოებები, სამეცნიერო საზოგადოებები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, აგრეთვე მოქალაქენი ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებს წიაღის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივები მონაწილეობენ წიაღის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფისათვის საქმიანობაში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წესდებების (დებულებების) შესაბამისად.

მოქალაქენი ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებს წიაღის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში აუცილებელ სამუშაოებში უშუალო მონაწილეობით, წიაღის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების გაუმჯობესების შესახებ წინადადებათა შეტანით, წიაღის დაცვისა და გამოყენების წესების მათთვის ცნობილ დარღვევათა შეტყობინებით.

სახელმწიფო ორგანოები მოვალენი არიან წიაღის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებისას ყოველმხრივ გაითვალისწინონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა წინადადებანი".

VI. საქართველოს სსრ 1974 წლის 5 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ წყლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1974 წ., № 6, მუხ. 107):

1) მესამე თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა მონაწილეობა წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში";

2) მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პარლამენტის ბიბლიოთეკა

**„მუხლი 11.** სახელმწიფო ორგანოებისათვის ხელის შეწყობა წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში

პროფესიული კავშირები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ბუნების დაცვის საზოგადოებები, სამეცნიერო საზოგადოებები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, აგრეთვე მოქალაქენი ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებს წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში“;

3) მე-12 მუხლში:

სათაური და პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 12.** საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა მონაწილეობის წესი წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებებში

საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივები მონაწილეობენ წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფისათვის საქმიანობაში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წესდებების (დებულებების) შესაბამისად“;

მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო ორგანოები მოვალენი არიან წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისას ყოველმხრივ გაითვალისწინონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა წინადადებანი“.

VII. საქართველოს სსრ 1978 წლის 21 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ ტყის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 12, მუხ. 254):

1) მესამე თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა მონაწილეობა ტყეების რაციონალურად გამოყენების, კვლავწარმოებისა და მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში“;

18.121

2) მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 14.** საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა მიერ ხელის შეწყობა ტყეების რაციონალურად გამოყენების, კვლავწარმოებისა და მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში

პროფესიული კავშირები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ბუნების დაცვის საზოგადოებები, სამეცნიერო საზოგადოებები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, აგრეთვე მოქალაქენი ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებსა და კოლმეურნეობებს ტყეების რაციონალურად გამოყენების, კვლავწარმოებისა და მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში“;

3) მე-15 მუხლში:

სათაური და პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

**„მუხლი 15.** ტყეების რაციონალურად გამოყენების, კვლავწარმოებისა და მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა მონაწილეობის წესი

საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივები მონაწილეობენ ტყეების რაციონალურად გამოყენების, კვლავწარმოების, მოვლა-დაცვის უზრუნველყოფისათვის საქმიანობაში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წესდებების (დებულებების) შესაბამისად“;

მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო ორგანოები მოვალენი არიან ყოველმხრივ გაითვალისწინონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა წინადადებანი ტყეების რაციონალურად გამოყენების, კვლავწარმოებისა და მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისას“.

VIII. ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ 1981 წლის 19 ივნისის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 7, მუხ. 131):

1) მეოთხე თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა მონაწილეობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში“;

2) მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 10.** საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა მიერ ხელის შეწყობა ატმოსფერული ჰაერის დაცვაში

პროფესიული კავშირები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ბუნების დაცვის საზოგადოებები, სამეცნიერო საზოგადოებები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, აგრეთვე მოქალაქენი ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებს ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში.

სახელმწიფო ორგანოები მოვალენი არიან ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისას ყოველმხრივ გაითვალისწინონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა წინადადებანი“;

3) მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 11.** საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების მონაწილეობის წესი ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებებში

საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივები მონაწილეობენ ატმოსფერული ჰაერის დაცვის უზრუნველყოფისათვის საქმიანობაში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წესდებების (დებულებების) შესაბამისად“.

IX. ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ 1981 წლის 19 ივნისის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 7, მუხ. 132):

1) მეოთხე თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა მონაწილეობა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში";

2) მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა მიერ ხელის შეწყობა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში

პროფესიული კავშირები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ბუნების დაცვის საზოგადოებები, მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებები, სამეცნიერო საზოგადოებები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, აგრეთვე მოქალაქენი ხელს უწობენ სახელმწიფო ორგანოებს ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში.

სახელმწიფო ორგანოები მოვალენი არიან ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებისას ყოველმხრივ გაითვალისწინონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა წინადადებანი";

3) მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 12.** საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების მონაწილეობის წესი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალურად გამოყენებისათვის საქმიანობაში

საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივები მონაწილეობენ ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფისათვის საქმიანობაში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წესდებების (დებულებების) შესაბამისად".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1985 წლის 27 თებერვალი.

№ 2944—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**27** **ამხ. პ. ვ. მიქელაძისათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგეს ამხ. პეტრე ვიქტორის ძე **მიქელაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 8 თებერვალი.
№ 2925—X

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**28** **საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ**

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“

**ბექაურს** ნიკოლოზ გიორგის ძეს — კათედრის გამგეს, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

**ბოკუჩავას** გივი ვლადიმერის ძეს — ფაკულტეტის დეკანს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

**ლოსაბერიძეს** ანდრია ალექსანდრეს ძეს — კათედრის გამგეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

**ნოზაძეს** ალექსანდრე დავითის ძეს — ინსტიტუტის პრორექტორს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

**ცოცხაძეს** ვლადიმერ ვიაჩესლავის ძეს — კათედრის გამგეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი"**

**ბაბუნაშვილს** ზაურ პეტრეს ძეს — კათედრის დოცენტს.

**ბარსეგოვას** ამალია ალექსანდრეს ასულს — კათედრის უფროს მასწავლებელს.

**გაბაშვილს** ელენე ილარიონის ასულს — კათედრის უფროს მასწავლებელს.

**გეტაშვილს** იულია ალექსანდრეს ასულს — კათედრის უფროს მასწავლებელს.

**გოცირიძეს** ევგენია გიორგის ასულს — კათედრის უფროს მასწავლებელს.

**დარახველიძეს** ნინო ალექსანდრეს ასულს — კათედრის დოცენტს.

**დიდიძეს** მიხეილ სამსონის ძეს — კათედრის დოცენტს.

**დოჭვირს** აპოლონ ალექსის ძეს — კათედრის დოცენტს.

**კიტიას** არკადი კონსტანტინეს ძეს — კათედრის დოცენტს.

**მაისურაძეს** ალექსანდრე ვასილის ძეს — კათედრის დოცენტს.

**რევიას** ელენე ურვანის ასულს — კათედრის უფროს მასწავლებელს.

**ჩოგოვაძეს** დიმიტრი ნესტორის ძეს — კათედრის დოცენტს.

**ცინცაძეს** ოთარ გერონტის ძეს — კათედრის დოცენტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 8 თებერვალი.

№ 2925—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 29 საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი"**

**გაფრინდაშვილს** გურამ გრიგოლის ძეს — კათედრის დოცენტს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"**

**გვენეტაძეს** შალვა ლუარსაბის ძეს — კათედრის უფროს მასწავლებელს.

**მეჭავარიანს** ანზორ ანანიას ძეს — პერსპექტიული განვითარებისა და ტექნიკური ბაზის სექტორის გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი"

**მახარაძეს** თინა სერაპიონის ასულს — სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების უფროს რედაქტორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი"

**ბლაგიძეს** ქეთევან სიმონის ასულს — განყოფილების უფროს ინჟინერ-ეკონომისტს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი"

**ტატიშვილს** მარგარიტა რუბენის ასულს — მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

„საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი"

**ჭიჭინაძეს** ომარ ერმილეს ძეს — კათედრის უფროს მასწავლებელს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი"

**მათიაშვილს** ნანული ალექსის ასულს — სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის განყოფილების გამგეს.

„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი"

**მიქაელიანს** ონიკ სედრაკის ძეს — მძღოლს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 8 თებერვალი.
№ 2926—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 30 საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

მუსიკალური ხელოვნების დარგში დამსახურებისა და ხანგრძლივი ნაყოფიერი საშემსრულებლო მოღვაწეობისათვის საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი"

**მუნჯიშვილს** გივი გრიგოლის ძეს — სამხატვრო ხელმძღვანელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

ბალიაშვილს ჯუანშერ გიორგის ძეს — სოლისტს.
ბარონოვს ქრისტეფორე პეტრეს ძეს — სოლისტს.
ზაპრუდნაიას გალინა ალექსანდრეს ასულს — სოლისტს.
ლაპინსკენეს ვიოლეტა რუდოლფის ასულს — სოლისტს.
ლომიაშვილს ლიანა შალვას ასულს — დირიჟორს.
პირაევს პავლე ბაკუზის ძეს — სოლისტს
ჯაფარიძეს ლერი ივანეს ძეს — სოლისტს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

ქორქაძეს გიორგი მიხეილის ძეს — დირექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 13 თებერვალი.
№ 2927—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 31 საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის მსახიობებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ორკესტრში ხანგრძლივი ნაყოფიერი და აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“** საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის მსახიობებს:

**კეკელიას** ლალი ალექსანდრეს ასულს — კონცერტმაისტერს.
**ლომიძეს** თამაზ ლევანის ძეს — კონცერტმაისტერს.
**მანდენოვას** ნატალია რომანის ასულს — კონცერტმაისტერს.
**ქლიბაძეს** მეგი გიორგის ასულს — კონცერტმაისტერს.
**ჩხარტიშვილს** ლია ნიკოლოზის ასულს — კონცერტმაისტერს.
**ცხადაიას** დავით კარლოს ძეს — მსახიობ-ვიოლონჩელისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 13 თებერვალი.
№ 2928—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 32 ამხ. ბ. ს. პაიჭაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განსავითარებლად ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, სრულიად საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „შრომითი რეზერვების“ საქართველოს საბჭოს ფეხბურთის განყოფილების გამგე ამხ. ბორის სოლომონის ძე პაიჭაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 5 თებერვალი.
№ 2915—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 33 ამხ. ს. გ. ავჩიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით მწერალი სურენ გიორგის ძე ავჩიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 8 თებერვალი.
№ 2917—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 34 ამხ. გ. ლ. ბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში უცხოეთის ტურიზმის განსავითარებლად გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. გიორგი ლევანის ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზერიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 8 თებერვალი.
№ 2920—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 35 ამხ. კ. ბ. ელიავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათი წელთან დაკავშირებით გალის რაიონის სოფელ მუხურის ჯგუბურიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. კაპიტონ ბეგლარის ძე ელიავა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 8 თებერვალი.
№ 2923—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 36 ამხ. ჯ. ს. ზამბახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ჯემალ სერგოს ძე ზამბახიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 8 თებერვალი.
№ 2922—X

ეროვნული

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**37** **ამხ. ო. ტ. მესხიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით წალენჯიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ორდენ ტარასის ძე **მესხია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 8 თებერვალი.
№ 2918—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**38** **ამხ. რ. დ. ორჯონიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

რესპუბლიკის წიგნის საგამომცემლო ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ამხ. რევაზ დიმიტრის ძე **ორჯონიკიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 8 თებერვალი.
№ 2919—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**39** **ამხ. გ. ი. ქადაგიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ამხ. გრიგოლ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიას ძე ქადაგიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 8 თებერვალი.
№ 2921—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 40 ამხ. ვ. დ. ბახტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კინემატოგრაფიაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორი ამხ. ვახტანგ დავითის ძე ბახტაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 14 თებერვალი.
№ 2929—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 41 ამხ. ლ. ვ. პაქსაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი ამხ. ლერი ვარლამის ძე პაქსაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 14 თებერვალი.
№ 2931—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 42 ამხ. ე. ვ. ყიფშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ელენე ვასილის ასული ყიფშიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 14 თებერვალი.
№ 2930—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 43 ამხ. ა. ი. ჩალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის" ყინვალჰესის სამშენებლო სამმართველოს უფროსი ამხ. ავთანდილ იროდიონის ძე ჩალაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 19 თებერვალი.
№ 2933—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 44 ამხ. ზ. დ. დევიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ

ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსი ამხ. ზაურ დიმიტრის ძე დევიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 22 თებერვალი.
№ 2938—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 45 ამხ. ს. ვ. დურმიშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადებიდან სამოცდათხუთმეტი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი სერგო ვასილის ძე დურმიშიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 26 თებერვალი.
№ 2941—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 46 საოლქო გაზეთ „სოვეთონ ირისთონის“ („საბჭოთა ოსეთი“) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახელმწიფო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საოლქო გაზეთი „სოვეთონ ირისთონი“** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 27 თებერვალი.
№ 2944—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 47 ამხ. ჯ. ი. სიხარულიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ჯულა ისაკის ძე **სიხარულიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 27 თებერვალი.
№ 2943—X

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1985 წლის 5 თებერვალს მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ უმაღლესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების პერიოდში განხორციელებულმა პოლიტიკურმა და ორგანიზაციულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი XI ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკის მშრომელთა დარაზმვას.

მიმდინარე საარჩევნო კამპანია გადაიქცა ყველა საფეხურის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ბრძოლისუნარიანობის დათვალიერებად.

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში მაღალორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მოეწყო მიმდინარე მოწვევის ყველა საფეხურის საბჭოს დეპუტატების ამომრჩევლებთან შეხვედრების ტრადიციული ერთიანი კვირა, რომელიც დეპუტატების ანგარიშგებას მიეძღვნა; გამოითქვა მრავალი კრიტიკული შენიშვნა საბჭოების და მათი საშემსრულებლო-საგანმკარგულებლო ორგანოების, სამმართველოებისა და სამსახურების საქმიანობის მიმართ. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის ამომრჩეველთა 18.576 განაწესიდან შესრულებული იყო 17.264, ანუ მათი საერთო რაოდენობის 92,9 პროცენტი. განსაკუთრებით ნაყოფიერად იღვაწეს განაწესების შესასრულებლად ქ. ქუთაისის და მისი რაიონების, ბორჯომის, საგარეჯოს, ბოლნისის, სიღნაღის, მახარაძის, ახმეტის რაიონების დეპუტატებმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოებისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, არჩევნების შესახებ კანონების და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ დამტკიცებული ძირითად ორგანიზაციულ და პროპაგანდისტულ ღონისძიებათა გეგმის სრული შესაბამისობით. დაწესებულ ვადებში შეიქმნა საარჩევნო ოლქები და უბნები, საარჩევნო კომისიები, რომლებიც ძირითადად უზრუნველყოფილი არიან კეთილმოწყობილი ბინებით, კავშირგაბმულობის საშუალებებით, ინვენტარით, საარჩევნო ლიტერატურით, არჩევნების ჩატარებისათვის საჭირო დოკუმენტაციის ბლანკებით და სხვ.

რესპუბლიკაში შექმნილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების 440 საარჩევნო ოლქი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების 140 საარჩევნო ოლქი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების 110 საარჩევნო ოლქი და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების 50.925 საარჩევნო ოლქი, აგრეთვე 3.182 საარჩევნო უბანი.

სულ ყველა სახის საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში არჩეულია 230.642 წევრი.

საქართველოს სსრ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიები და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიები არჩევნების შესახებ კანონების შესაბამისად ახორციელებენ კონტროლს მათ სამოქმედო ტერიტორიაზე არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობისადმი, კომისიის სხდომებზე იხილავენ საკითხებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული არჩევნების ორგანიზებულად და მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარებასთან.

რესპუბლიკაში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ჩატარდა დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი შრო-

მითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრებებმა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატებად მშრომელებმა ერთსულოვნად დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ვ. რომანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე. დასახელებულ კანდიდატთა შორის არიან მოწინავე მუშები და კოლმეურნეები, სახალხო ინტელიგენციის წარმომადგენლები. ორგანიზებულად ჩატარდა წინასაარჩევნო საოლქო თათბირები და დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაცია. მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრები ამომრჩევლებთან. წინასაარჩევნო კრებებზე ამომრჩევლები დეპუტატობის კანდიდატებს აძლევენ განაწესებს, აყენებენ საქმიან, კონსტრუქციულ წინადადებებს, რომლებიც მიმართულია საზოგადოებრივი წარმოების სფეროს, გაერთიანებებისა და საწარმოების, საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგის ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის, მათი საქმიანობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის.

რესპუბლიკის შრომით კოლექტივებში და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობაში ფართოდ არის გაშლილი სააგიტაციო-მასობრივი და პროპაგანდისტული მუშაობა. აგიტატორები, პროპაგანდისტები, პოლიტინფორმატორები, პოლიტიკური მომხსენებლები საფუძვლიანად განუმარტავენ ამომრჩევლებს სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების, არჩევნების შესახებ კანონების ძირითად დებულებებს, საბჭოთა დემოკრატიზმის საფუძვლებს, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრინციპებს, აცნობენ მათ დეპუტატობის კანდიდატების შრომითსა და საზოგადოებრივ საქმიანობას. კულტურის სახლებში, კლუბებსა და ბიბლიოთეკებში ეწყობა თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებთან, ცნობილ მეცნიერებთან და წარმოების ნოვატორებთან.

რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის ორგანოები კვალიფიციურად და სისტემატურად აშუქებენ არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხებს.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ არჩევნებისათვის მზადების საქმეში დმანისის, სიღნაღის, საჩხერის რაიონებში, ქ. წყალტუბოში და სხვაგან ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირონ სკკპ XXVI ყრილობის, საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს შრომებსა და გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და მითითებების პრაქტიკული განხორციელებისათვის მშრომელთა ფართო მასების დარაზმვას, სოციალისტური კანონიერებისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის გაძლიერებას;

შრომითს კოლექტივებსა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობაში კიდევ უფრო გააძლიერონ სააგიტაციო-მასობრივი და პროპაგანდისტული მუშაობა. მთელი ორგანიზაციულ-მასობრივი და აღმზრდელობითი საქმიანობა წარმართონ მშრომელთა მობილიზაციისათვის სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის; მიაღწიონ იმას, რომ შრომითმა კოლექტივებმა უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება XI ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის;

უზრუნველყონ არჩევნებისათვის მზადების ყველა ღონისძიების დროულად და უცილობლად გატარება, გააძლიერონ პრაქტიკული დახმარება საარჩევნო კომისიების მუშაობისადმი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას, საარჩევნო ბიულეტენებით საარჩევნო უბნების დროულად უზრუნველყოფას, მშრომელთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვას და მათზე სათანადო რეაგირებას;

პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთკავშირით უზრუნველყონ წინასაარჩევნო კამპანიაში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების და ორგანიზაციების ფართო მონაწილეობა. მაქსიმალურად გამოიყენონ მათი შესაძლებლობანი საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების პროპაგანდისათვის, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცებისათვის;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წინასაარჩევნო კრებებზე მოწონებული, დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების გულდასმით განხილვას. განაწესების შესასრულებლად მიღებამდე უზრუნველყონ მათი წინასწარი განხილვა სამუშაო ჯგუფებში სპეციალისტებისა და შემსრულებლების მონაწილეობით, მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის შესაძლებლობათა გათვალისწინებით;

სათანადო დავალებანი მიეცათ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის, საავტომობილო ტრანსპორტის, ვაჭრობის სამინისტროებს, ცეკავშირის გამგეობას, სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოს;

რესპუბლიკის პრესას, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს რეკომენდაცია მიეცათ უფრო ფართოდ გააშუქონ არჩევნები-

სათვის მზადებასთან დაკავშირებული ღონისძიებანი და საბჭოების მრავალმხრივი საქმიანობა, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობა და აღებულ ვალდებულებათა შესრულება.

*

* *

20 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ მეცხრამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების ჩატარების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგილობრივი საბჭოების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა პირველი სესიებიდანვე მთელი თავიანთი საქმიანობა წარმართონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. კ. უ. ჩერნენკოს შრომებსა და გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და მითითებების, ამომრჩეველთა წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის გამოსვლაში განსაზღვრული ამოცანების შესაბამისად: დარაზმონ დეპუტატები, ყველა მშრომელი მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებების პირნათლად შესასრულებლად, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის და სკკპ XXVII ყრილობის ღირსეულად შესახვედრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს დაავალა:

საოლქო და რაიონული საბჭოების სესიებზე დაამტკიცონ აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს შემადგენლობა; განიხილონ ამომრჩეველთა განაწესები და დაამტკიცონ მათი შესრულების ღონისძიებათა გეგმა; თითოეული განაწესის შესასრულებლად მიღებამდე უზრუნველყონ მისი ყოველმხრივ განხილვა სპეციალისტთა და შემსრულებელთა მონაწილეობით და შესასრულებლად მიიღონ მხოლოდ რეალურად განსახორციელებელი განაწესები;

აღმასრულებელი კომიტეტების რიცხობრივი შემადგენლობა განსაზღვრონ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების შესახებ კანონების შესაბამისად, გაითვალისწინონ აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობაში ქალების, მუშების, კოლმეურნეების, უპარტიოებისა და კომკავშირელების არჩევა;

საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების), სადაბო და სასოფლო საბჭოების პირველი სესიების ორგანიზებულად ჩატარებაში დახმარების გასაწევად ადგილებზე მიავლინონ საოლქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების პასუხისმგებელი მუშაკები.

სათანადო დავალება მიეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

1985 წლის 28 თებერვალს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოებისა და რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგები.

აღინიშნა, რომ არჩევნები რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა ორგანიზებულად, საქართველოს სსრ კონსტიტუციის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ კონსტიტუციების მოთხოვნებისა და არჩევნების შესახებ კანონების სრული შესაბამისობით.

საარჩევნო კამპანიამ კვლავ ცხადყო პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, იგი მიმდინარეობდა მასების დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა, ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს შრომებსა და გამოსვლებში ჩამოყალიბებულ მითითებათა შესრულებისათვის, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმებისა და დავალებების წარმატებით შესასრულებლად ბრძოლის ნიშნით.

არჩევნებმა დამაჯერებლად ცხადყო საბჭოთა ადამიანების მაღალი პოლიტიკური შეგნება, მათი დაინტერესება სახელმწიფო საქმეებით.

არჩევნები მზადდებოდა და ტარდებოდა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების უშუალო მონაწილეობით, რომელთა 217986 წარმომადგენელი აქტიურად მონაწილეობდა 18199 საარჩევნო კომისიაში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 99,99 პროცენტი. საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 99.99 პროცენტმა.

ხმის მიცემის შედეგების მიხედვით ხმის აბსოლუტური უმრავლესობით არჩეულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 440 დეპუტატი, აფხაზეთის ასსრ — 140, აჭარის ასსრ — 110, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს — 140, რაიონული საბჭოების — 5472, საქალაქო საბჭოების — 6481, ქალაქის რაიონული საბჭოების — 2235, სადაბო საბჭოების — 2311 და სასოფლო საბჭოების — 34284 დეპუტატი. დეპუტატობის კანდიდატთა გარდაცვალების გამო არჩევნები არ ჩატარებულა ორ საარჩევნო ოლქში.

აღინიშნა, რომ წინასაარჩევნო კამპანია ბევრად უწყობდა ხელს სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესებას, მასებთან მათი კავშირის განმტკიცებას, მშრომელთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებას.

ამასთან საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში შეინიშნებოდა ხარვეზები და ნაკლოვანებები, წინასაარჩევნო ღონისძიებათა მომზადებისადმი ფორმალური დამოკიდებულების ფაქტები. ყველგან დროულად არ იხილებოდა მშრომელთა წინადადებები და თხოვნა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა:

ყოველმხრივ გააანალიზონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევნების შედეგები და ჩატარებული წინასაარჩევნო კამპანია ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის დაგროვილი დადებითი გამოცდილების დასამკვიდრებლად, ფართოდ გამოიყენონ ყოველდღიურ საქმიანობაში მასებთან კავშირის განსამტკიცებლად, მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად რესპუბლიკის მშრომელთა დარაზმვისათვის მუშაობის ნაცადი ფორმები;

ყურადღებით განიხილონ წინადადებები, კრიტიკული შენიშვნები და შეხვედრების დროს ამომრჩეველთა მიერ რესპუბლიკის ყველა დონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებისათვის მიცემული განაწესები, დასახონ მათი რეალიზაციის პრაქტიკული ღონისძიებანი, ყოველნაირად შეუწყონ ხელი ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრას, რომლებიც იწვევენ მშრომელთა სამართლიან საჩივრებსა და საყვედურს;

დროულად, მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩაატარონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სტატიაში „განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნათა დონეზე" და ქ. მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე მის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებიდან და დასკვნებიდან გამომდინარე დასახონ სახალხო დეპუტატთა მეცხრამეტე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის სრულყოფის, თავიანთი რეგიონების კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფაზე მათი გავლენის გაძლიერების კონკრეტული ღონისძიებანი, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი დეპუტატთა ფორმირებების საქმიანობის გააქტიურებას, მუდმივად დაეხმარონ ახლად არჩეულ დეპუტატებს სადეპუტატო უფლებამოსილების შესრულებაში, გააძლიერონ ყურადღება დეპუტატთა და საბჭოთა აქტივის სწავლების საკითხებზე.

*

* *

პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ა. გ. კარანაძის მოხსენება უმაღლესი სასამართლოს მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1980-84 წლებში ჩატარებული მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ ხელმძღვანელობდა რა მართლწესრიგის დასაცავად და სამართალდარღვევებთან ბრძოლის გასაძლიერებლად მუშაობის გაუმჯობესების, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცების საკითხებზე სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებებით და ასრულებდა რა კანონმდებლობით განსაზღვრულ ფუნქციებს, რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია მართლმსაჯულების განხორციელების, რესპუბლიკის სასამართლოების საქმიანობაზე ზედამხედველობის სრულყოფისა და სასამართლო პრაქტიკის სწორი ორიენტაციისათვის, სოციალისტური საკუთრების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინტერესების, კონსტიტუციით გარანტირებული მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

წინა ხუთწლეულთან შედარებით არსებითად ამაღლდა უმაღლესი სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვის ოპერატიულობა და ხარისხი, დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების დონე; სტაბილური გახდა საქმეებზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებანი; მკვეთრად იკლო გაპროტესტებულ და გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა, განჩინებათა და განაჩენთა რაოდენობამ; დაიხვეწა გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობის ფორმები და მეთოდები, მოქალაქეთა მიღებისა და მათი განცხადებების განხილვის ორგანიზაცია.

ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საქმიანობაში კვლავ აღინიშნება რიგი ნაკლოვანებანი; იგი სათანადო დახმარებას ვერ უწევს ქვემდგომ სასამართლოებს კანონმდებლობის სწორად გამოყენებაში, რის შედეგადაც ჯერ კიდევ ბევრია საკასაციო და ზედამხედველობის წესით განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებისა და შეცვლის შემთხვევები; გაძლიერებას საჭიროებს ამ მიმართებით მუშაობის კოორდინაცია რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან; უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ყოველთვის ოპერატიულად არ რეაგირებს სასამართლო პრაქტიკაში კანონმდებლობის გამოყენებასთან წარმოჭრილ საკითხებზე, თავის სხდომებზე იშვიათად ისმენს შესაბამისი სასამართლოების თავმჯდომარეთა ინფორმაციებს კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ; ჭიანურდება პლენუმის მოქმედ დადგენილებათა კრებულების გამოცემა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს განაგრძოს სისტემური და გეგმაზომიერი მუშაობა საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების, პარტიის მოთხოვნათა შესაბამისად დისციპლინისა და ორგანიზებულობის უზრუნველყოფისათვის; განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი რესპუბლიკის სასამართლოების საქმიანობაზე ზედამხედველობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, კანონმდებლობის სწორად გამოყენებაში დახმარების გასაძლიერებლად და სასამართლო პრაქტიკის სწორად ფორმირებისათვის; განუხრელად იღვაწოს სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი ზემოქმედებისა და გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობის სხვა ფორმების შედეგიანობის ასამაღლებლად; უზრუნ-

ველყოს პლენუმის მიერ სასამართლო პრაქტიკაში კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებზე ოპერატიული რეაგირება; მიიღოს ზომები პლენუმის მოქმედ დადგენილებათა კრებულების დროულად გამოსაცემად. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს რეკომენდაცია მიეცა საკადრო პოლიტიკის შესახებ სადირექტივო ორგანოების მითითებებიდან გამომდინარე ამოცანათა შესასრულებლად შეიმუშაოს და განახორციელოს რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის, მათი ხარისხობრივი შემადგენლობის, საქმიანი კვალიფიკაციისა და დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისათვის პასუხისმგებლობის ამაღლების დამატებითი ღონისძიებანი.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონულ საბჭოებსა და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ მიიღონ ქმედითი ზომები სასამართლოებისათვის მუშაობაში ხელის შეწყობის თაობაზე ამ საბჭოების შესახებ კანონებით დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების უზრუნველსაყოფად. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი ზემოქმედების გაძლიერებას, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ამაღლებას კერძო განჩინებებზე დროულად და სწორად რეაგირებისათვის, სახალხო მსაჯულთა საბჭოების საქმიანობის გააქტიურებას.

■

■ ■

პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხები: 1984 წელს საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ, 1984 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შემოსული მშრომელთა წერილების, განცხადება-საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობის თაობაზე დ სხვ.